

**ვებგვერდზე [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge) განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გათავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:**

**შეიცვალოს ხელშეკრულების 5.1.5. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

5.1.5. ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს / წარუდგინოს / გადასცეს ბანკს კლიენტთან დაკავშირებული და კლიენტის მიერ განხორციელებულ საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ნებისმიერი და ყველა საბუთის (ინვოისის, ანგარიშ-ფაქტურის, ხელშეკრულების, წერილის ან/და სხვა) ხელმოწერილი დედანი ან სათანადო წესით დამოწმებული ასლი (ინფორმაციის / საბუთ(ებ)ის ნამდვილობაზე, სიზუსტესა და კანონიერებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს).

**შეიცვალოს ხელშეკრულების 7.10.4. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

7.10.4. დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი და სხვ.) კლიენტისათვის საბანკო/საგადახდო მომსახურების გაწვევისთვის (მათ შორის სხვადასხვა საბანკო/საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის შეთავაზებისათვის / მათი დადასტურებისთვის) აუცილებელი ინფორმაცია (მ.შ. კლიენტის პერსონალური მონაცემები), მიაწოდოს მესამე პირებს (რომლებიც ზემოხსენებული მომსახურების მიწოდებისთვის/გაწვევისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ახორციელებენ პირთა იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციას), მათ შორის საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ს, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

**შეიცვალოს ხელშეკრულების 9.1.4 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

9.1.4. ინტერნეტ-ბანკით მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად. ინტერნეტბანკზე რეგისტრაციისთვის, პაროლის განახლების ან/და ინტერნეტბანკით მომსახურების მიღებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, კლიენტი უფლებამოსილია აგრეთვე, ბანკს მიმართოს და/ან ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დაუკავშირდეს ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებ(ებ)ით (დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ით).

**შეიცვალოს ხელშეკრულების 9.2.9 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

9.2.9. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ინტერნეტ-ბანკის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას/დავალებას (მათ შორის საგადახდო დავალებას), ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას/დასტურს (მათ შორის ანგარიშის გახსნის/დახურვის ან/და კრედიტის წინსწრებით დაფარვის, რეგისტრირებული მომსახურების/პროდუქტების გაუქმების ან/და მათში ცვლილებების შეტანის, ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების (დადასტურების), კლიენტის მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ და სხვა ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას/დასტურს), ბანკსა და კლიენტს შორის

ინტერნეტბანკის საშუალებით გაფორმებულ ნებისმიერ გარიგებას, აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (კლიენტის) მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული), ქალაქზე დაბეჭდილი და ხელმოწერილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

### **ხელშეკრულების მე-9 მუხლს დაემატოს 9.5; 9.6; 9.7 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

- 9.5. ბანკი პასუხს არ აგებს ინტერნეტბანკის მეშვეობით კლიენტისთვის გაგზავნილი შეტყობინების/გარიგების, ნებისმიერი ინფორმაციის, ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.
- 9.6. ბანკი პასუხს არ აგებს ინტერნეტბანკის გამოყენებით კლიენტის ნაცვლად სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების/გარიგების, ნებისმიერი ინფორმაციის ან ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.
- 9.7. წინამდებარე ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ინტერნეტბანკის მეშვეობით დაფიქსირებული მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალეზა) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). მხარეთა შეთანხმებით ასეთი ჩანაწერები მიიჩნევა ბანკის საკუთრებად.

### **შეიცვალოს ხელშეკრულების 14.3.2 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

- 14.3.2. ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალეზა) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). მხარეთა შეთანხმებით ასეთი ჩანაწერები მიიჩნევა ბანკის საკუთრებად.

### **ხელშეკრულების მე-14 მუხლს დაემატოს 14.3.4; 14.3.5; 14.3.6 ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

- 14.3.4. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ მობილური ბანკის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას/დავალეზას (მათ შორის საგადახდო დავალეზას), ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას/დასტურს (მათ შორის ანგარიშის გახსნის/დახურვის ან/და კრედიტის წინსწრებით დაფარვის, რეგისტრირებული მომსახურების/პროდუქტების გაუქმების ან/და მათში ცვლილებების შეტანის, ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების (დადასტურების), კლიენტის მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ და სხვა ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას/დასტურს) ბანკსა და კლიენტს შორის მობილური ბანკის საშუალებით გაფორმებულ ნებისმიერ გარიგებას, აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული), ქალაქზე დაბეჭდილი და ხელმოწერილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.
- 14.3.5. ბანკი პასუხს არ აგებს მობილური ბანკის მეშვეობით კლიენტისთვის გაგზავნილი შეტყობინების/გარიგების, ნებისმიერი ინფორმაციის, ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

14.3.6. ბანკი პასუხს არ აგებს მობილური ბანკის გამოყენებით კლიენტის ნაცვლად სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების/გარიგების, ნებისმიერი ინფორმაციის ან ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.